სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/166

ქ. თბილისი

28 ივნისი 2019

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან არსებული Autodesk-ის საგანმანათლებლო-საპროექტო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელობის წინადადება გრაფიკული დიზაინის პროგრამების იმპლემენტირების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტთან არსებული Autodesk-ის საგანმანათლებლო-საპროექტო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელობის წინადადება გრაფიკული დიზაინის პროგრამების იმპლემენტირების შესახებ. სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამებში. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სტუდენტთა პროფესიული დასაქმებისა და სამსახურებრივი კონკურენტუნარიანობის საჭიროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, დაევალოს მუშა ჯგუფს: პროფ. ზ. გასიტაშვილის, პროფ. მ. მაცაბერიძის, ა/პროფ. თ. წერეთლის, ა/პროფ. მ. ბრელიძის შემადგენლობით განსაზღვროს იმ კრედიტების რაოდენობა, რომელიც უნდა შეთავაზოს სტუდენტს აღნიშნულმა პროგრამებმა სავალდებულო კრედიტებს მიღმა გრაფიკულ დიზაინში კომპეტენციების შესაძენად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**